 პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ოთხშაბათი, 5 აპრილი, 1944 წ. № 70 (7014). ფასი 20 კაპ.

შევინარჩუნოთ და აღვზარდოთ მუშათა ახალი კადრები

დიდმა სამამულო ომმა ჩვენი სოციალისტური მრეწველობის წინაშე უაღრესად რთული და ძნელი ამოცანა დააყენა. საჭირო იყო ნაკლები ძალებითა და საშუალებებით ფრონტისა და ქვეყნისათვის მიგვეცა გაცილებით მეტი პროდუქცია. საჭირო იყო ტექნიკაში მტრის რაოდენობრივი უპირატესობის ლიკვიდაცია. საჭირო იყო ჩვენს მრეწველობას წითელი არმიისათვის მიეცა უფრო მეტი ტანკი, თვითმფრინავი, ქვემეხი, ავტომატი და სხვა შეიარაღება და აღჭურვილობა, ვიდრე გერმანიის, მისი ვასალებისა და მის მიერ დაპყრობილი ქვეყნების საერთოდ მძლავრი მრეწველობა აწვდიდა ფაშისტთა არმიას.

ჩვენმა მრეწველობამ, ჩვენმა მუშათა კლასმა ეს ამოცანა ბრწყინვალედ გადასჭრა.

„თუ ახლა ლიკვიდირებულია მტრის ყოფილი უპირატესობა ტანკების, თვითმფრინავების, ნაღმსატყორცნებისა და ავტომატების მხრივ, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — თუ ჩვენი არმია ახლა აღარ განიცდის იარაღის, საომარი მასალებისა და საჭურვლის სერიოზულ ნაკლებობას, ეს უწინარეს ყოვლისა **ჩვენი მუშათა კლასის** დამსახურებას უნდა მივაწეროთ“.

მთელი საბჭოთა ქვეყნის მძლავრ სოციალისტურ მრეწველობასთან ერთად საქართველოს ფაბრიკა-ქარხნები, როგორც წესი, გადაჭარბებით ასრულებენ სახელმწიფო დავალებებს, იძლევიან სულ მეტსა და მეტს პროდუქციას. თბილისის სამრეწველო საწარმოებმა 1943 წლის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს. ასევე შესრულებულია მიმდინარე წლის პირველი კვარტალის დავალებები.

სახელმწიფო დავალებათა წარმატებით შესრულებაში დიდი როლი ითამაშეს საწარმოებში სამამულო ომის დროს მოსულმა მუშებმა. უფრო მეტიც, ბევრ ფაბრიკასა და ქარხანაში ახლად მოსული მუშები სწყვეტენ გეგმის შესრულების საქმეს. საკმარისია ითქვას, რომ უმრავლეს საწარმოებში ამ უკანასკნელ დროს მოსულ მუშათა რიცხვი მთელი კოლექტივის ნახევარზე მეტს შეადგენს.

აქედან ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ახალ მუშათა მიზიდვის, შენარჩუნებისა და აღზრდის საქმის ბოლშევიკურად დაყენებას. სწორედ ეს საკითხი განიხილა საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის XI პლენუმმა, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინად ჩატარდა. პლენუმმა მკაცრად გააკრიტიკა ახალ მუშათა შენარჩუნებისა, მათი საწარმოო-ტექნიკური სწავლებისა და პოლიტიკური აღზრდის დარგში არსებული ნაკლოვანებანი და დასახა ღონისძიებანი ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

უდავოა, რომ ახლად მოსული მუშების დიდმა ნაწილმა განვლილ პერიოდში პოლიტიკური და საწარმოო აღზრდის სერიოზული სკოლა გაიარა, პროფესიას დაეუფლა, კვალიფიკაცია მიიღო, ნორმებს გადაჭარბებით ასრულებს, სტახანოველი გახდა.

იქ, სადაც საწარმოს დირექტორი, პარტიული, პროფესიული და კომკავშირული ორგანიზაციები ახალი მუშებისადმი მუდმივ მზრუნველობას იჩენენ, უქმნიან მათ შესაფერ პირობებს, ასობით და ათასობით კვალიფიციური კადრი მომზადდა და მზადდება. ასეთი საწარმოები არ განიცდიან მუშახელის სიმცირეს, კვალიფიციურ მუშათა ნაკლებობას. სადაც ახლად მოსული მუშები თავის ანაბარა არიან მიტოვებულნი, სადაც არ ზრუნავენ მათთვის კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნაზე, თავს არ იწუხებენ მათი საწარმოო-ტექნიკური მომზადების ასაშაღლებლად, მიივიწყეს მათ შორის პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა, იქ მუშათა დენადობაც დიდია, საწარმოც კვალიფიციური კადრების ნაკლებობას განიცდის, მუშახელიც არასაკმაო ჰყავთ.

თუ რამდენად სერიოზული ნაკლოვანებები გვგვაჩნია ახალ მუშათა აღზრდისა და შენარჩუნების დარგში, სჩანს იქიდან, რომ მაგალითად, თბილისის ლენინის რაიონის საწარმოებში ომის პერიოდში მიღებულთა ორ მესამედზე ნაკლებია შენარჩუნებული, ხოლო სტალინის რაიონის საწარმოებში — მეოთხედზე ცოტა მეტი. ცალკე საწარმოებში მუშათა დენადობა კიდევ უფრო მაღალია. ბევრ ფაბრიკასა და ქარხანაში ახალი მუშების მნიშვნელოვანი ნაწილი ნორმას ვერ ასრულებს. შუშეულობის ქარხანაში, რომელიც ლენინის რაიონშია, მუშათა 50 პროცენტზე მეტი ჩამორჩება ნორმების შესრულებაში. ქარხანა თვიდან თვემდე ვერ ასრულებს გეგმებს. ასეთ ფაქტებს იმიტომ ვხვდებით, რომ ჩრავალ ადგილას ჯერ კიდევ არ არის მოწესრიგებული მუშათა საწარმოოტექნიკური სწავლება, შექმნილი არ არის ტექმინიმუმის წრეები, უმოქმედობას იჩენენ სტახანოვური სკოლები, ოსტატთა კურსები.

მთავარი ამოცანა ამჟამად ჩვენს მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების ყოველმხრივ გადიდებაა, ხოლო შრომის ნაყოფიერების სერიოზული გადიდება შეუძლებელია მუშათა კვალიფიკაციის აუმაღლებლად.

რა არის საჭირო იმისათვის, რომ ავამაღლოთ მუშათა კვალიფიკაცია?

უპირველეს ყოვლისა, ამისათვის საჭიროა ბოლო მოვუღოთ მუშახელის დენადობას, აღმოვფხვრათ ის მიზეზები, რაც იწვევს ამ დენადობას, გულისხმიერებით მოვეპყრათ ახლად მოსულთ, არ გავაჭიანუროთ მათი სამუშაოზე მიღების გაფორმება, თითოეულს გამოვუნახოთ მისი შესაფერი ადგილი, გავაცნოთ და შევაყვაროთ წარმოება.

შემდეგ, საჭიროა გავშალოთ საწარმოო-ტექნიკური სწავლება ფაბრიკა-ქარხნებში, ავამოქმედოთ ტექმინიმუმის დაუფლების წრეები, სტახანოვური სკოლები, მივამაგროთ ახალი მუშები ძველ კვალიფიციურ მუშებს, მივაღწიოთ იმას, რომ თითოეულმა მუშამ აითვისოს არა მარტო ერთი, არამედ რამდენიმე პროფესია.

შემდეგ, საჭიროა ყოველმხრივ შეეუწყოთ ხელი ფრონტულ და კომკავშირულ - ახალგაზრდულ ბრიგადებს, რომლებმაც მიზნად დაისახეს კვალიფიკაციის ამაღლების გზით, პროფესიათა შეთავსებით შეამცირონ ბრიგადაში მუშების რაოდენობა, ხოლო საწარმოო დავალება გადაჭარბებით შესრულონ.

ბოლოს, აუცილებელია პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის კიდევ უფრო გაძლიერება ახალმოსულებულთა შორის, აუცილებელია გავზარდოთ მათში ფრონტისა და ქვეყნის წინაშე, ჩვენი სამშობლოს, ჩვენი წითელი არმიის წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა.

საქართველოს ფაბრიკა-ქარხნებში და საკოლმეურნეო მინდვრებზე ფართოდ გაიშალა საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება. გმირი წითელი არმიის ისტორიული გამარჯვებებით აღფრთოვანებულ საბჭოთა ხალხი ახალ ვალდებულებებს კისრულობს ფრონტისათვის დახმარების გასაძლიერებლად.

სათავეში ჩავუდგეთ მასების ამ ახალ საწარმოო-პოლიტიკურ აღმავლობას, მოვიპოვოთ ახალ-ახალი გამარჯვებანი შრომის ფრონტზე.

ებრაელი ხალხის წარმომადგენელთა მიტინგი

2 აპრილს მოსკოვში კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში შესდგა სსრ კავშირში არსებული ებრაელთა ანტიფაშისტური კომიტეტის მიერ მოწვეული ებრაელი ხალხის წარმომადგენელთა მესამე მიტინგი.

მიტინგი გახსნა სსრ კავშირში არსებული ებრაელთა ანტიფაშისტური კომიტეტის თავმჯდომარემ ს. მიხოელსმა.

იგი ლაპარაკობს საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევ ერთიანობაზე, რომლებიც დიდი სტალინის მოწოდებით აღსდგნენ გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან საბრძოლველად. ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით მამაცი წითელი არმია ყოველი თავისი ძლევამოსილი ნაბიჯით აახლოებს ჰიტლერელი ავაზაკებისადმი შურისგების დიად ჟამს.

— ჩვენ გამაყოფთ იმით, — აცხადებს ს. მიხოელსი, — რომ დიდი რუსი ხალხის მიერ აღფრთოვანებულნი და დარაზმულნი, რუსებთან, უკრაინელებთან, ბელორუსებთან, ქართველებთან, ყაზახებთან, სსრ კავშირის ყველა ხალხის წარმომადგენლებთან ხელიხელჩაკიდებულნი იბრძვიან ჩვენი საბჭოთა სამშობლოსათვის ებრაელი ხალხის შვილებიც.

საბჭოთა კავშირის ებრაელ მოქალაქეთა სახელით მიხოელსი მხურვალე მოწოდებით მიმართავს ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, კანადისა და მექსიკის ებრაელებს.

— უფრო მეტი ღონისძიება, მეტი აქტიური მოქმედება, რაც განამტკიცებს ანტიჰიტლერული კოალიციის ძლიერებას და აახლოებს საძულველი მტრის განადგურების ჟამს.

მიტინგზე სიტყვები წარმოსთქვეს: საბჭოთა კავშირის გმირმა, გვარდიის პოდპოლკოვნიკმა რ. მილინერმა, სოციალისტური შრომის გმირმა ლ. გონორმა, ორდენოსანმა პოეტმა ი. ფეფერმა, წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის წყალქვეშა ნავების დივიზიონის მეთაურმა, მე-2 რანგის კაპიტანმა გ. გოლდბერგმა, სტალინური პრემიების ლაურეატებმა — აკადემიკოსმა ლ. შტერნმა და ფიზიკოსმა ილია ერენბურგმა, 70 წლის პარტიზანმა დაბა კლიმკოვიჩიდან ხაიმ-არონ ხაზანოვმა, მამაცთა სიკვდილით დაღუპული საბჭოთა კავშირის გმირის ლაზარე პაპერნიკის დედამ — ფ. პაპერნიკმა, სრულიად-სლავური კომიტეტის წარმომადგენელმა ტარასენკოვმა, პოეტმა პარტიზანმა, რომელიც ვილნოს გეტოდან გამოიქცა და მიტინგზე ლიტვის ტყეებიდან მოვიდა, სუცკოვერმა, პარტიზანული რაზმების შენაერთის მეთაურმა ორდენოსანმა ბლახმანმა და სხვ.

მიტინგის მისამართით მოვიდა მრავალი მისალმება ფრონტელებისა და სსრ კავშირის საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან, აგრეთვე დეპეშები ა. შ. შტატებიდან, დიდი ბრიტანეთიდან და სხვა ქვეყნებიდან.

მიტინგის მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით, მქუხარე, ხანგრძლივი ტაშისცემით მიიღეს მისალმება უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინისადმი.

დასასრულ მიტინგმა მიიღო მიმართვა მთელი მსოფლიოს ებრაელებისადმი.

მიტინგი ტრანსლირებულ იქნა რადიოთი. (საკდესი).

საბჭოთა კავშირში

ა. ს. მაკარენკოს პედაგოგიური მემკვიდრეობის შესწავლა

ვ. ი. ლენინის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პედაგოგიკის კათედრასთან შეიქმნა ა. ს. მაკარენკოს სამეცნიერო-საკვლევო ლაბორატორია.

ლაბორატორიის ამოცანაა შეისწავლოს გამოჩენილი საბჭოთა პედაგოგის თეორიული მემკვიდრეობა, განაზოგადოს სკოლათა, საბავშვო სახლთა და სხვა საყმაწვილო დაწესებულებათა პრაქტიკაში მისი მეთოდების გამოყენების გამოცდილება.

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულმა უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტმა დაავალა ლაბორატორიას უხელმძღვანელოს მაკარენკოს პედაგოგიური მემკვიდრეობის შესწავლის საქმეს ჩვენი ქვეყნის სხვა სასწავლებლებშიც.

ამუშავდა ბესემერის საამქრო

ჩუსოვოის მეტალურგიულ ქარხანაში (მოლოტოვის ოლქი) ამუშავდა ახალი ბესემერის საამქრო, რომლის მშენებლობა ჩატარდა ფრაფი ვეთოდებით.

მიღებულია პირველი ნადნობი. (საკდესი).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

4 აპრილის ოპერაციული ცნობა

4 აპრილის განმავლობაში ქალაქ დუბნოს დასავლეთით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევითს ბრძოლებს, რომელთა მსვლელობაშიც დაიკავეს 30-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ცესუვი, ბოგოჩიცი, ბალიჩანი, ლოგაჩოვკა, პულგანი, ბუუანი და რკინიგზის სადგურები სენკევიჩევკა, ბალიჩანი, ზვინიაჩი, გოგოხოვი.

ჩვენი ჯარები, რომლებიც გარს ერტყმიან ქ. ტარნოპოლს, წარმატებითს ბრძოლებს ეწეოდნენ მოწინააღმდეგის გარშემორტყმული გარნიზონის მოსასპობად და დაიკავეს ქალაქის მეტი ნაწილი. ქუჩებში სამი დღის ბრძოლების განმავლობაში გაჟლეტილია 3.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ტყვედ წამოუყვანილია 300-ზე მეტი გერმანელი.

უკრაინის 1-ლი ფრონტის ჯარები ბრძოლებს ეწეოდნენ სსკალის რაიონში — ბოგოჩინი — გერმანელთა თავდაცვის დიდმნიშვნელოვანი დასაყრდენი პუნქტი დნესტრზე, ამასთან მოსპეს მტრის გარნიზონი, რომელიც ამ ქალაქს იცავდა.

კიშინიოვის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს მოლდავეთის სსრ რაიონული ცენტრი კიპერჩენი, აგრეთვე ბრძოლებით დაიკავეს 30-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები ჩიშმა, ხოდოროშა, შარკანი, ლაკატნა, ჟური, მიხალევკა, დოიბანი, რეიმაროვკა, ოსიპოვკა, ვასილიევკა.

ოდესის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც განაგრძობდნენ შეტევის განვითარებას, დაიკავეს ოდესის ოლქის რაიონული ცენტრები ფრუნზოვკა, ბოგრინოი, ბაშანი, ბოლშაია ალექსანდროვკა, ბოლშაია ალექსანდროვკა, ბოლშაია ალექსანდროვკა

შრომითი გმირობის დღიური

20 ორთქლმავალი გეგმის ზევით

თბილისის საორთქლმავლო დეპოს მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა და მოსამსახურეებმა მოსკოვის ლენინის ორდენოსანი დაზგათმშენებელი ქარხნის „კრასნი პროლეტარის" კოლექტივის მომართვის პასუხად საპირველმაისოდ იკისრეს: აპრილში გეგმის ზევით გარეცხვითი შეკეთებიდან გამოუშვან 18 ორთქლმავალი, აწევითი შეკეთებიდან 2 ორთქლმავალი; წარმოებაში ახალმოსულ 10 მუშას შეასწავლონ სხვადასხვა პროფესიები; მარტთან შედარებით აპრილში 10 პროცენტით გაზარდონ შრომის ნაყოფიერება; ორთქლმავლების ტექნიკური სიჩქარე გაზარდონ 1 კილომეტრამდე და სადღეღამისო გარბენი 5 კილომეტრამდე; აპრილის განმავლობაში განთავისუფლებული რაიონების რკინიგზებისათვის დაამზადონ და დანიშნულებისამებრ გაგზავნონ ორთქლმავლის სათადარიგო ნაწილები და 20 აპრილამდე დაამთავრონ ხვნა-თესვა დამხმარე მეურნეობაში.

იმ საამქროს მუშებმა, რომელსაც ორდენოსანი ამხ. შ. ხიზანიშვილი ხელმძღვანელობს, იკისრეს აპრილში გეგმის გადამეტებით აწევითი შეკეთებიდან გამოუშვან 2 ორთქლმავალი. ამხ. ჩუტკარაშვილის მექვაბეთა ბრიგადამ იკისრა აპრილში გეგმის ზევით შეაკეთოს 5 ორთქლმავლის საორთქლე ქვაბი, კომკავშირულმა ფრონტულმა ბრიგადამ, რომელსაც დ. ჭიჭინაძე ხელმძღვანელობს, იკისრა გარეცხვითი შეკეთებიდან აპრილში გეგმის ზევით გამოუშვას 8 ორთქლმავალი.

დეპოელები უკვე ანაღდებენ ნაკისრ ვალდებულებას. 3 აპრილისათვის 200-350 პროცენტით შეასრულეს დღიური საწარმოო დავალებები დეპოს მოწინავე ადამიანებმა, სტახანოველებმა—დ. ბეკაშვილმა, შ. ჭანკოტაძემ, გ. ბერუაშვილმა, პ. პიციენკომ და სხვ.

ნაკლები ძალებით მეტი პროდუქცია

თბილისის ლენინის რაიონის საწარმოებში ამჟამად 60 ფრონტული და 84 კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა მუშაობს. მარტო ფრონტული ბრიგადების მიერ განთავისუფლებულია 187 კვალიფიციური მუშა, რომლებიც გამოყენებული არიან სხვა სამუშაოებზე.

კიროვის სახელობის დაზგათმშენებელ ქარხანაში 9 ფრონტული და 31 კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადაა, ამ ბრიგადებმა სხვა სამუშაოზე გამოსაყენებლად გაათავისუფლეს 52 კვალიფიციური მუშა. ერთ-ერთი საამქროს ფრონტულმა ბრიგადამ, რომელსაც კომკავშირელი ეკატერინე ზავგოროდნაია ხელმძღვანელობს, თავისი შემადგენლობიდან 2 მუშა გაათავისუფლა და მიუხედავად ამისა ბრიგადა, საწარმოო დავალებებს ორმაგი და სამმაგი გადაჭარბებით ასრულებს.

დიდი წარმატებები მოიპოვეს ავტოსარემონტო ქარხნის ფრონტულმა კომკავშირულ-ახალგაზრდულმა ბრიგადებმა. ამხ. მორჩილაძის ფრონტული ბრიგადა ნაკლები მუშახელით 250-280 პროცენტით ასრულებს საწარმოო დავალებებს და ამავე დროს მაღალხარისხოვან პროდუქციას იძლევა.

26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში მუშაობის სუტკეთესო მაჯალითებს იძლევა კომკავშირელ ვერა ფილიპენკოს ფრონტული ბრიგადა, რომელმაც გეგმით ნავარაუდევი 8 კაცის ნაცვლად 4 კაცი მუშაობს. ეს ბრიგადა საწარმოო დავალებებს სისტემატურად 300-325 პროცენტით ასრულებს. ასევე წარმატებით მუშაობს იმავე ქარხანაში ზეინკალთა ფრონტული ბრიგადა ამხ. ილურიძის ხელმძღვანელობით. ილურიძის ბრიგადა ყოველთვიურ საწარმოო დავალებებს 450-500 პროცენტით ასრულებს.

იწყებენ ახალი კონსტრუქციის დანადგარის გამოშვებას

კალინინის სახელობის მექანიკური ქარხნის სტახანოველები და ინჟინერ-ტექნიკოსები საბრძოლველისოდ ახალ საწარმოო საჭიროებას უმზადებენ დიდა-სამშობლოს. ქარხნის კონსტრუქტორებმა გუშინ დაამთავრეს ახალი კონსტრუქციის ზეთსახდელი დანადგარის გეგმისა და ნახაზების დამუშავება. 5 აპრილიდან ქარხნის კოლექტივი იწყებს მუშაობას ამ დანადგარის სერიული გამოშვებისათვის.

სპარველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმისას მოსკოვის ლენინის ორდენოსანი ქარხნის „კრასნი პროლეტარის" მომართვისა და თბილისს 26 კომისრის სახელობის ქარხნის კოლექტივის გამოწვევის საპასუხოდ კალინინელებმა იკისრეს აპრილში გამოუშვან რამდენიმე ცალი ასეთი დანადგარი. ახალი კონსტრუქციის ზეთსახდელი დანადგარის წარმადობა რამდენჯერმე მეტია, ვიდრე დღემდე ცნობილი კონსტრუქციების დანადგარებისა.

გუშინ „კრასნი პროლეტარის" კოლექტივის მომართვის განსახილველად ქარხანაში შემკვარ მიტინგზე კალინინელებმა იკისრეს ვადაზე 5 დღით ადრე შეასრულონ აპრილის საწარმოო გეგმები, ორმაგი გადაჭარბებით განაღდონ ფართო მოხმარების საგნები, გამოშვების აპრილის საწარმოო გეგმა და გაზარდონ შრომის ნაყოფიერება.

მოლის მარგანეცი გეგმის გადამეტებით

ჭიათურა („კომუნისტის" საკ. კორ.). სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სახალხო კომისრის, სოციალისტური შრომის გმირის ამხ. ი. თევოსიანის ბრძანების საფუძველზე ჭიათურის მარგანეცის მაღაროებში მარტის პირველ ნახევარში 10 კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა შეიქმნა. ამხ. თევოსიანის ბრძანებით მოწინავე ბრიგადებისათვის გათვალისწინებულია სერიოზული უპირატესობანი და დაწესებულია ფულადი პრემიებიც.

ბრიგადები უკვე შეუდგნენ მუშაობას და მაღალნაყოფიერი შრომის საუცხოო ნიმუშებს იძლევიან. ლენინის სახელობის მაღაროში თავი გამოიჩინა კომკავშირულ-ახალგაზრდულმა ბრიგადამ, რომელსაც ამხ. გ. ჯიშკარიანი ხელმძღვანელობს. სერიოზულ წარმატებებს აღწევს ავრეთვე კაგანოვიჩის სახელობის მაღაროს კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა, რომელსაც ახალგაზრდა სტახანოველი ამშენდი ამხ. ნ. ჭიღლაძე ხელმძღვანელობს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადების წარმატება. აქ ბრიგადებს კომკავშირელი სტახანოველები ამხ. ტ. მირონაძე და ა. გურული ხელმძღვანელობენ. ეს ბრიგადები 110-120 პროცენტით ასრულებენ მარგანეცის გამოღების ყოველდღიურ გეგმებს. ახალგაზრდები ამხ. რ. გურული, დ. მირონაძე, ვ. გურაბანიძე გეგმებს 150 და მეტი პროცენტით ასრულებენ.

პ. ჭიოკაძე

რკინიგზელთა ფრონტული ბრიგადების მიღწევები

სამტრედიის რკინიგზის კვანძის კომუნისტები მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ შრომის ფრონტზე. ლიანდაგის შემკეთებელმა ფრონტულმა ბრიგადამ, რომელსაც კომუნისტი ვლ. შენგელია მეთაურობს, ორი კაცი გათავისუფლა და გაგზავნა სხვა სამუშაოზე. მიუხედავად ამისა, ბრიგადა ყოველდღიურ საწარმოო დავალებებს ორმაგი და სამმაგი გადაჭარბებით ასრულებს. სტახანოველი ზეინკალი კომუნისტი ამხ. ა. ახობაძე გეგმების სისტემატურად გადაჭარბებით შესრულებასთან ერთად სერიოზულ ყურადღებას აქცევს ახალგაზრდა კადრების აღზრდას. ამ უკანასკნელი 5 თვის განმავლობაში მის მიერ ზეინკლად მომზადებული ამხ. გ. ვაჩიეშვილი, ს. კოტელნიკოვი და ა. ცომაია სისტემატურად ერთვახეთარ-ორ ნორმას იძლევიან.

ლიანდაგის შემკეთებელმა ფრონტულმა ბრიგადამ, რომლის ხელმძღვანელია ბ. შენგელია, ბრიგადის შემადგენლობიდან სამი კაცი გათავისუფლა და გეგმებს კი 300-350 პროცენტით ასრულებს.

სალიანდაგო დისტანციის უფროს ამხ. ა. ცომაიას ინიციატივით 1944 წლის პირველ კვარტალში შეგროვებულ და ჩაბარებულ იქნა დანიშნულებისამებრ 20 ტონა ჯართი.

კავშირგაბმულობის სამტრედიის დისტანციის უფროსმა ელექტრომექანიკოსმა, მედლით „შრომითი წარჩინებისათვის" დაჯილდოებულმა კომუნისტმა ამხ. ვ. გურგენიძემ სემაფორების კაპიტალური შეკეთებისას უფრთოდ გამოიყენა შინაგანი რესურსები, რითაც წარმოებას 2.000 მანეთის ეკონომია მისცა.

უფროსმა ელექტრომექანიკოსმა ამხ. ი. სანდიერაძემ, რომელიც საწარმოო დავალებას 350-400 პროცენტით ასრულებს, ორი კაცი მოამზადა ელექტრომექანიკოსად, ხოლო მეაკუმულატორედ — სამი კაცი.

დეპოს მოწინავე მემანქანეები, კომუნისტები ამხ. ნ. ბოხუა, და მ. კოხრაიძე თავიანთ მუშაობაში ფართოდ იყენებენ ლენინურ მეთოდებს, თებერვალში მათ 15.650 კილოგრამი საწვავი დაზოგეს. ასევე კარგად იმუშავეს მარტშიც.

აღსანიშნავია ორ დაზგაზე მომუშავე ხარატ ამხ. დ. გორდაძის თავდადებული მუშაობაც, რომელიც საწარმოო გეგმას 260-300 პროცენტით ასრულებს.

ტრ. ციბაძე

სოციალისტური შეჯიბრება გამარჯვების მოსაგზადისათვის

ბათუმის რაიონმა გამოიწვია ქობულეთი

ბათუმი („კომუნისტის" საკ. კორ.). შარშან ბათუმის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების მაღალი მოსავალი მიიღეს და წარმატებით შეასრულეს მეცხოველეობის განვითარების გეგმა. ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობი 733 ჰექტარით გადიდდა. კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი გაიზარდა 15.400.000 მანეთამდე. ჩაის პლანტაციების გადაბარვა წელს კოლმეურნეობებმა დაწესებულ ვადებში დამთავრეს. გასხვლა-გაფორმების გეგმა შესრულებულია 95 პროცენტით. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ამარაგებენ კალათებს, გოდრებს, ყუთებს, რომ ყოველმხრივ მომზადებული შეხვდნენ ჩაის მწვანე ფოთლის კრეფას.

2 აპრილს შესდგა ბათუმის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანთა რაიონული შეკრება, რომელმაც განიხილა 1944 წელს უხვი მოსავლის მისაღებად სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღების საკითხი. მოხსენება გააკეთა მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. მ. ყურუშაძემ.

სიტყვით გამოვიდა სოფელ ურეხის კიროვის სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველი ხ. გორგილაძე. მან განაცხადა: — თავის ფრონტზე გადავბარე ერთი ჰექტარი ჩაის პლანტაცია, 1.000 ძირი ციტრუსოვანთა ნარგავი. წელს — უკეთესი მოსავალი უნდა მოვიყვანო, ვიდრე შარშან. სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევ სოფელ ხელვაჩაურის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის" ბრიგადირს ფ. თურმანიძეს. ჩემი ვალდებულება ასეთია: მთელს სეზონში მოვკრიფო 12.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი და კრეფის სტახანოვური მუშაობა შევასწავლო 10 კოლმეურნეს.

სოფელ ხელვაჩაურის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის" ბრიგადირმა ფ. თურმანიძემ სთქვა:—ბრიგადა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, 6 ჰექტარ ჩაის პლანტაციას, 17 ჰექტარ ციტრუსებს და 6,5 ჰექტარ ერთწლიან კულტურებს უვლის. ვიღებ ხ. გორგილაძის გამოწვევას და პირობას ვდებ წელს გამოვიმუშაო 2.000 შრომადღე, ხოლო ჩაის კრეფის სტახანოვური ხერხი შევასწავლო 15 კოლმეურნეს. ჩვენ, ბრიგადა სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩააბარებს 5 ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფს. მე სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევ ქობულეთის რაიონის სოფელ ულიანოვკის სტუდენტას სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველს ხ. კაკაბაძეს.

კონკრეტული ვალდებულებანი იკისრეს თხილნარის სასოფლო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ი. დვალიძემ, სოფელ ქვემო ჩხუტუნეთის ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე შ. ქოქოლაძემ, კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის" თავმჯდომარე ჯ. დიასამიძემ, სალიბაურის საბჭოთა მეურნეობის დირექტორმა ხ. იორდანიდმ, ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. ჭანიძემ, კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ი. ჩილაკიდმ.

შეკრების მონაწილეებმა იკისრეს სრულმოსავლიანი პლანტაციიდან ჰექტარზე საშუალოდ მიიღონ 2.100 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს ჩააბარონ 100 ტონა ხარისხოვანი ფოთოლი, თითოეულ ხეზე მოჭრიფონ 470 მანდარინი, 350 ლიმონი და 440 ფორთოხალი, გადაჭარბებით შეასრულონ ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადების გეგმა.

ბათუმის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს ქობულეთის რაიონი.

შეკრებაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კ. პ. (ბ) ბათუმის რაიკომის მდივანი ამხ. ვ. სანიკიძე, რომელმაც დამსწრეთა ყურადღება გაამახვილა უხვი მოსავლის მიღებისა და მეცხოველეობის შემდგომი განვითარების კონკრეტულ საკითხებზე.

შეკრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კ. პ. (ბ) აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. კ. ბეგეიანმ და აჭარის სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. შ. შარაშიძემ.

ვ. ანთაძე

კოლმეურნეები ეცნობიან ღაგოდეხელთა მიმართვას

გორი („კომუნისტის" საკ. კორ.). რაიონში გულმოდგინედ ეცნობიან ლაგოდეხელთა მიმართვას. კოლმეურნეები ახალ ვალდებულებებს კისრულობენ. სოფელ ხიდისთავის კოლმეურნეობის წევრთა კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ ბრიგადირები ი. კარიჭაშვილი, გ. გელაშვილი და ალ. შუკაკიძე. მათ პირობა დასდეს, რომ იმუშავებენ მეომრული თავდადებით და უზრუნველჰყოფენ უხვი მოსავლის მიღებას. კოლმეურნეობამ იკისრა გეგმის გადამეტებით ჰექტარზე საშუალოდ მიიღოს 2 ცენტნერი ხორბალი, 1,5 ცენტნერი სიმინდი, 100 ცენტნერი შაქრის ჭარხალი, 20 ცენტნერი კომბოსტო, 20 ცენტნერი პომიდორი, 20 ცენტნერი კიტრი, ვადაზე ადრე შეასრულოს მეცხოველეობის განვითარების წლიური გეგმა.

მაღალი მაჩვენებლების მიღწევა იკისრეს ავრეთვე სოფელ ტინისხიდის, ბერბუკის, თორტოზის, ტყვიავის, შინდისის, ნიქოზის, დიცის კოლმეურნეობებმა. ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა პირობა დასდეს, რომ სიმინდის მოსავალს გაზრდიან 3 ცენტნერით, გეგმის გადაჭარბებით საშუალოდ ჰექტარზე მიიღებენ 170 ცენტნერ შაქრის ჭარხალს, 50 ცენტნერ კომბოსტოს, 10 ცენტნერ კიტრს. წლის ბოლოსათვის ფერმებში იყოლიებენ 210 ცხვარს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 160 სულისა. მთლიანად შეინარჩუნებენ ნამატს.

შ. ჩუბინიძე

წელს მეზი მარცვლეული მივიღოთ

ხობი („კომუნისტის" საკ. კორ.). წითელი არმიის ბრწყინვალე წარმატებებს ხობელი კოლმეურნეები უპასუხებენ ზურგში ბეჯითი შრომით. მახარაძის რაიონის სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანების მიმართვამ აქ მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა.

ამ მიმართვის განხილვასთან დაკავშირებით სოფელ ხობის 26 კომისრის სახელობის კოლმეურნეობის ბრიგადირმა დ. წურწუმიამ განაცხადა:—ვკისრულობთ ჰექტარზე მივიღოთ 26 ცენტნერი სიმინდი. ბრიგადამ, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, საგზაფხულო ხვნა დამთავრა ადადზე 15 დღით ადრე. ვთესავთ კარგი ხარისხის თესლს. სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევ ჩვენი კოლმეურნეობის პირველ ბრიგადას.

კოლმეურნეობამ იკისრა ჰექტარზე საშუალოდ მოიყვანოს 22 ცენტნერი სიმინდი და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია სოფელ ხობის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა.

სოფელ ნოჯიხევის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ლ. ცხადაიამ განაცხადა: ჩაის ბუჩქებს უკეთესად უნდა მოვუაროთ. ჩაი ჩვენი შეძლებულობის დაუშრეტელი წყაროა. წელს მთელ სეზონში მოვკრიფე 2.600 კილოგრამ ჩაის მწვანე ფოთოლს, და სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევ სოფელ ბიის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველ ქალს ლ. ჭითაშვილს. სტახანოველმა ლ. ჩიტაიამ სოციალისტური შეჯიბრების პირობები გააფორმა სოფელ ბიის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრ ა. შონიასთან და თავის მხრივ იკისრა 2.500 კილოგრამი ჩაის ფოთლის მოკრეფა.

სოფელ პირველი ხორგის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრები აღფრთოვანებით გაეცნენ მახარაძელთა მოწოდებას და გადასწყვიტეს თითოეულ ჰექტარზე მოიყვანონ 25 ცენტნერი სიმინდი.

ბრ. ნანეიშვილი

ახალი შრომითი აღმავლობა

სახელოვანი წითელი არმიის უმაგალითო გამარჯვებებს ორჯონიკიძის რაიონის კოლმეურნეები უპასუხებენ ახალი შრომითი აღმავლობით. კოლმეურნეები, სოფლის მეურნეობის მუშაკები კისრულობენ ვალდებულებას, წელს უხვი მოსავალი მიიღონ.

ორჯონიკიძის რაიონის კოლმეურნეები ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში და თავის მხრივ იკისრეს საგაზაფხულო თესვა დაამთავრონ ორი უგვიანესს 5 მაისისა, 9.600 ჰექტარზე დასთესონ მარცვლეული კულტურები, გაუმჯობესონ ნათესების მოვლა და ჰექტარზე სამუალოდ მიიღონ 10 ცენტნერი მოსავალი. კოლმეურნეები გეგმის გადამეტებით დასთესენ 100 ჰექტარ სხვადასხვა კულტურებს თავდაცვისა და გერმანელი ფაშისტი ოკუპანტებისაგან დაზარალებულ კოლმეურნეთა ძმური დახმარების, აგრეთვე ფოთელ ფრონტელთა ოჯახების დახმარების ფონდში.

წელს ყანებსა და ფენახებში კოლმეურნეები გაიტანენ 8.000 ტონა ნაკელს, უზრუნველჰყოფენ თითოეულ ჰექტარზე 45 ცენტნერი ყურძნის მიღებას, გააშენებენ 1.000 ძირ ხეხილს და 10.000 ძირ თუთას, 10 ჰექტარზე დარგავენ დაფნას, თითოეულ კოლოფ თესლზე სახელმწიფოს ჩააბარებენ 45 კილოგრამ აბრეშუმის პარკს, ფუტკრის ოჯახთა რიცხვს 1.070-დან აიყვანენ 1.200-მდე, თითოეულ ოჯახზე მიიღებენ 16 კილოგრამ თაფლს, წარმატებით შეასრულებენ ყველა სახელმწიფო ვალდებულებას.

გერმანელებისათვის წართმეული იარაღის ნიმუშების გამოფენა (მოსკოვი). მნახველები ათვალიერებენ ახალ ექსპონატებს — გერმანულ ქვემეხებს, რომლებსაც გერმანელები უშენდნენ ლენინგრადს და რომლებიც ხელთ იგდეს ლენინგრადის ფრონტის ჯარებმა.
ფოტო ნ. სიტნიკოვისა (საკადესის ფოტოქრონიკა).

დეპეშები

ინგლისური გაზეთები საბჭოთა მთავრობის განცხადების შესახებ

ლონდონი, 3 აპრილი (საკადესი). ამხ. მოლოტოვის განცხადება რუმინეთის შესახებ გამოქვეყნებულია ინგლისური გაზეთების თვალსაჩინო ადგილას და პირველ გვერდებზე.

როგორც გაზეთ „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტის" დიპლომატიური მიმომხილველი აღნიშნავს, „განცხადებას იმის შესახებ, რომ რუსეთი არ ესწრაფვის ტერიტორიების შეძენას რუმინეთში და რომ მას განზრახული არა აქვს ჩაერიოს რუმინეთის შინაურ ცხოვრებაში უფრო მეტად, ვიდრე საჭიროა იმისათვის, რომ განადგურებულ იქნას გერმანიის ხრმიები, აფასებენ როგორც ტიპიურ მაგალითს ზომიერი პოლიტიკისას, რაც უკვე გვიჩვენა რუსეთმა ფინეთთან მის სამშვიდობო მოლაპარაკებაში".

გაზეთებმა „ტაიმსმა" და „დეილი მეილმა" ანალოგიური კომენტარები გამოაქვეყნეს.

ლონდონი, 3 აპრილი (საკადესი). როგორც რეიტერის სააგენტოს დიპლომატიური მიმომხილველი რენდელ ნილი აღნიშნავს, მოლოტოვის ბიერ გაკეთებული განცხადება, რომლის შესახებაც სრული კონსულტაციაჰქონდათ ინგლისის მთავრობასთან და რომლის ყოველ სიტყვასაც ინგლისის მთავრობა გულითადად უჭერს მხარს, პირდაპირს პოლიტიკურ ლახვარს სცემს გერმანიას. იგი აკამტვერებს გერმანელების მტაციებს, თითქოს გერმანიის გამარჯვება მისი სტელლიტებისათვის ნიშნავს სიცოცხლეს, ხოლო გერმანიის დამარცხება ნიშნავს სიკვდილს. ბოლოტოვი სრულიად საწინააღმდეგოს აცხადებს. მოლოტოვის სიტყვები მიმართულია, პირველ რიგში, რუმინეთისადმი, მაგრამ ისინი გაუკვეთნილია აგრეთვე ბულგარეთისა და უნგრეთის გასაგონად, თუ მათ აქვთ ყურნი სმენად. ამ აღმოსავლეთელი სატელიტების ხალხებმა ახლა იციან, რისი იმედი უნდა ჰქონდეთ მათ და რისი უნდა ეშინოდეთ. მათ შეეძლოთ თავიანთი ყოფაქცევა შეეთანხმონ მათს ქვეყნებში არსებულ გარემოებებს.

დასასრულ მიმოხილველი აღნიშნავს, რომ „მოსკოვის გუშინდელი განცხადება კოლიოლურ რამეს წარმოადგენს თავისი შედეგებით".

კორდელ ჰელის განცხადება

ვაშინგტონი, 3 აპრილი (საკადესი). ა. შ. შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰელმა აღნიშნა, რომ ვ. მ. მოლოტოვის განცხადება უნდა დაეხმაროს რუმინელებს იმის გაგებაში, რომ მათი საკუთარი ინტერესები მოითხოვენ რუმინეთიდან გერმანელების განდევნას.

იტალიის საკითხების საკონსულტაციო საბჭოს სხდომა

ლონდონი, 2 აპრილი (საკადესი). როგორც რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ნეაპოლიდან გადმოგვცემს, იტალიის საკითხების საკონსულტაციო საბჭო თავის სხდომებს შემდეგშიც ნეაპოლში მოაწყობს. ეს გამოცხადებულია კომუნიკეში, რაც საბჭომ გამოაქვეყნა დღეს დილით ამ სხდომის შემდეგ, რომელზეც გამოტანილი იყო გადაწყვეტილებანი საბჭოს მუშაობის მეთოდების შესახებ და რომელზეც ჩამოყალიბებულ იქნა სამდივნო.

საომარი მოქმედება იტალიაში

ლონდონი, 4 აპრილი (საკადესი). იტალიაში მყოფი მოკავშირეთა ჯარების მთავარი შტაბი იუწყება, რომ მოკავშირეთა არტილერია ბევრ ადგილას უშენდა მტრის თავმოყრილ ჯარებს, საინტენდანტო საწყობებსა და გზებს. ყველა ფრონტზე პატრულთა შეტაკება ხდებოდა.

გუშინ ღამით მძიმე და საშუალო ბომბდამშენები კვლავ დაესხნენ თავს ბუდაპეშტს. აღნიშნულია დიდი ხანძრები და აფეთქებანი.

გერმანიაში ძლიერდება უნდობლობა ოფიციალური ჰიტლერული პროპაგანდისადმი

ჟენევა, 4 აპრილი (საკადესი). ჰიტლერულმა გაზეთმა „მიუნჰაუზერ ტაგბლატმა" მოთავსა სტატია, რომელშიც შეშფოთებით აღნიშნავს, რომ გერმანიის მოსახლეობაში ფართოდ ვრცელდება უნდობლობა ოფიციალური პროპაგანდისადმი, რის გამოც ბევრი გერმანელი სიცოცხლის რისკს ეწევა და ფარულად უსმენს უცხოეთის რადიოგადაცემებს. „ის, ვინც ასეთ საშიშ საქმეს ეწევა, (ე. ი. უცხოეთის რადიოს უსმენს),—სწერს გაზეთი, — ჰკარგავს უნარს საგნები მათი ნამდვილი სახით დაინახოს"... გაზეთი აღნიშნავს, რომ ასე იყო, მაგალითად, კორსუნ-შევჩენკოვსკის რაიონში ბრძოლის დროს. წითელი არმიის მიერ ამ რაიონში გერმანიის 10 გარშემორტყმული დივიზიისა და ერთი ბრიგადის მოსპობის შემდეგ ჰიტლერულმა სარდლობამ გაავრცელა ცრუ ცნობა იმის შესახებ, რომ გერმანიის გარშემორტყმულმა ჯარებმა თითქოს მოახერხეს გარემოცვიდან გამოჭრა. მაგრამ, გაზეთის აღიარებით, ბევრი გერმანელი ამ ცნობას აშკარა უნდობლობით შეხვდა. „ჭაუის კოლოფეტისათვის,—სწერს გაზეთი,—ეს (ე. ი. გერმანიის განცხადება) არასაკმაოდ დამაჯერებელი აღმოჩნდა. ისინი ამბობენ: „ვიცი, ვიცი, დიდმა კაცებმა ძლივს მოახერხეს „ქვაბიდან" თავის დაღწევა თვითმფრინავებით, მაგრამ ჯარისაკაცთა მასა კი ბედის ამარად იქნა მიტოვებული".

გაზეთი ცოფიანი და გააფთრებული გინებით ესხმის თავს ამ გერმანელებს, „არამზადებს" ეძახის მათ და მკაცრი სასჯელით ეუქრება.

დეზერტირობა გერმანიის არმიაში

ლონდონი, 4 აპრილი (საკადესი). ლონდონის რადიო იუწყება, რომ, ნეიტრალური წყაროებიდან მიღებული ცნობებით ბერლინში იმყოფება გერმანიის არმიიდან გამოქცეული სულ მცირე 60 ათასი კაცი.

რუსეთელ ბავშვთა დასახმარებლად

საქართველოს მოწინავე საბავშვო დაწესებულებათა თანამონაბა — როსტოვის საბავშვო სახლებსა და საბავშვო ბაღებზე შეფობის აღებას მხარი დაუჭირეს სურამის ფ. მახარაძის სახელობის საბავშვო ბაღის აღსაზრდელებმა და მასწავლებლებმა. მათ გამართეს მხატვრული საღამო, რომელსაც დიდძალი ხალხი დაესწრო.

სურამელმა ბავშვებმა საღამოს მთელი შეგროვილი 3.180 მანეთი გადაგზავნეს როსტოველ ბავშვთა სახელზე.

ლ. კაკიაშვილი

„აგიტატორის ბლოკნოტი" № 6

გამოვიდა „აგიტატორის ბლოკნოტი" № 6 (7). ბლოკნოტში მოთავსებულია შემდეგი წერილები: „საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს VII სესია", „პოლონეთის საკითხი", „სოფლის აგიტკოლექტივების მუშაობის შესახებ", „გვარდიის ლეიტენანტი მფრინავი გ. მ. იასარიძე", „ჩვენი კალენდარი" და „აგიტატორის ლექსიკონი".

კონსულტაცია

5 აპრილს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის კულტურული სახლების სახელობის პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 41) შესდგება პროფ. **გეხტმანისა** და პროფ. **ათაბეგოვის** კონსულტაცია ქართულ და რუსულ ენებზე. თემა: **„ამერიკის შეერთებული შტატები".**

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

თეატრებში

5 აპრილს: სახელმწიფო ოპერა — „შოპენიანა" და „ესმერალდა". **რუსთაველის სახელობის** — „ოლეკო დუნდიჩი". **მარჯანიშვილის სახელობის** — „სოლომონ ისაკიჩ ბეჯღანუაშვილი". **გრიბოედოვის სახელობის** — „საგანგებო კანონი". **სომხური** — „ღალატი". **აბუნდოვის სახელობის** — „არშინ მალ-ალან".

კინოებში

5 აპრილს: — **რუსთაველი** — „ცირკი". **ოქტომბერი** — „ცისარტყელა". **დამკვრელი**— „ქაბუკი ჩვენი ქალაქიდან". **კომკავშირელი** — „ნასრედინ ბუხარაში". **სპარტაკი**—„ბსახიობი ქალი".

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის
მცირე დარბაზი
(გრიბოედოვის ქ. № 8)
ხუთშაბათს, 6 აპრილს,
მუსიკალური ათწლედის
მასწავლებელთა
კამერული შეკრება
მონაწილეობენ: **ა. ჩიჯავაძე, გ. ბარნაბიშვილი, ნ. კოზმინსკაია-ჩიგოგიძე, ბ. მაკუტაძე, ე. მენდელეევა, ნ. პოლოსოვი, მ. ხოჯამიროვი, ბ. ჭიაურელი, მ. ევთიშვილი,**
დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ს. მ. კიროვის სახელობის საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტი აცხადებს, რომ 1944 წ. 14 აპრილს, 13 საათზე, ფიზიკურ აუდიტორიაში სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ამავე ინსტიტუტის არაორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგიის კათედრის ასპირანტი **ნინო. ბაბრიელის-ასული მშვენიერაძე** ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„მანგანიტური მადნების დაუანგვა თერმიული მეთოდით და მიღებული ორუანგის გამოყენება მრეწველობაში".**
ოფიციალური ოპონენტები: ქიმიურ მეცნიერებათა დოქტორი პროფესორი **ა. ფ. დობრიანსკი,** ქიმიურ მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი **დ. ი. ერისთავი** და ქიმიურ მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი **ვ. თ. ჩაგუნავა.**
დისერტაციის გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (სასწავლო შესახვევი, № 2/4) ყოველდღე სამუშაო საათებში.
ს. მ. კიროვის სახელობის საქ. ინდუსტრიული ინსტიტუტის დირექტორი
ა. ჯ. ბოჯგუა

ცოლი ტატიანა, შვილი ბადური, დები ქეთო, მარუსია, ვერიკო ოჯახებით, სიდედრი, სიმამრი, ცოლისძმა ბორისი იუწყებიან **გიორგი ლევანის-ძე კიკვიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 6/IV 5 ს. ქუთაისში. 416

საქ. პოლიგრაფმრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმი იუწყება **გურამ ბარნაბის-ძე ხუციშვილის** გარდაცვალებას.

და ციცინო, სიძე ვ. მაკაროვი ოჯახით იუწყებიან **ბიძინა ბესარიონის-ძე ნიფარაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 5/IV, 5½ ს. ქალაქის I საავადმყოფოდან. 415

ამხანაგები კ. ბარიგიანი, დ. ქვლივიძე, ა. ნიფარაძე, ე. თავაძე იუწყებიან ს. ზახაროვის მეუმის **გიორგი სიმონის-ძე ზახაროვის** გარდაცვალებას. 417

ამხანაგები გეგელია, სარალიძე, თავგაბაშვილი, შარვაძე, ე. თავაძე, მ. კეკნაძე, ნ